

The Theme of War in German and Georgian Baroque Literature  
(Andreas Gryphius and Davit Guramishvili)

ომის თემა გერმანულ და ქართულ ლიტერატურულ  
ბაროკოში  
(ანდრეას გრიფიუსი და დავით გურამიშვილი)

Konstantine Bregadze  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Shota Rustaveli institute of Georgian Literature  
(Georgia)

კონსტანტინე ბრეგაძე  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტი  
(საქართველო)

**Abstract:**

The fierce Thirty Years' War in 17th century Germany (1618-1648) and the internal political chaos in 18th century Georgia (political fragmentation), the foreign aggression of the Ottoman Empire and the Kingdom of Iran against Georgia became the subject of poetic creativity, in particular, in the works of the famous German Baroque writer Andreas Gryphius (1616-1664) and the poem "Davitiani" by the representative of Georgian Baroque, Davit Guramishvili (1705-1792). War is considered here as an apocalyptic event that not only destroys the homeland politically and economically but also war is regarded as a universal catastrophe, because it destroys all perspectives on human existence, making the course of history lose its meaning. The lyrical characters of these authors reflect this hopelessness and meaninglessness with the baroque characteristic of Baroque, the deep sense of vanity, and the high style of Baroque poetry (genus grande), which makes the theme of war more apocalyptic than apocalypse itself.

Thus, if Gryphius' sonnet "Thränen des Vaterlandes. Anno 1636" is set within the framework of the thirty-year war, where the apocalyptic visions of an objective universal catastrophe and the expectation of this apocalypse

are conveyed, then in Guramishvili's lyrical poem we have reflections on the subjective existential fate, which is caused by a priori objective existences – political destabilization (historical factor) and the perfidy of "life" and "existence", that is, by the spontaneity and unpredictability of existence (ontological factor) – "it is not in the hands of the one who holds it, but if you hold it with a fist". And here, the subjectivism of the lyrical hero of Guramishvili's poem, i.e. his subjective reflections on his existence, suddenly turns into an objective existential situation, namely, using Sartre's terminology, the existence of the lyrical hero of "Davitiani" can be perceived as "being" (Fr. en-soi, Germ. An-sich-ein, Existenz) and "essence" (Fr. pour-soi, Germ. Für-sich-sein, Essenz) in the objectively given dialectic (Galle, 2009, p. 20; Seibert, 1997, p. 128), e. i. in the objectively given dialectic of existence and being when first there are existing and its ontological data, and then the personal existence of a person written in these data. Therefore, a priori we have an existential situation, when the existing and its ontological data always precede and forego the person (respectively, the lyrical hero of "Davitiani") and his private existence, and these ontological data (for example, birth, death, historical existence, temporality, transience, impermanence, etc.) appear to a person (respectively, the lyrical hero of "Davitian") as they are already written in advance, as they already exist beforehand.

**Keywords:** War, Georgian Baroque, German Baroque, David Guramishvili, Andreas Gryphius

**საკვანძო სიტყვები:** ომი, ქართული ბაროკო, გერმანული ბაროკო, დავით გურამიშვილი, ანდრეას გრიფიუსი

„რამეთუ ომი საშინელი და საზარელი მონსტრია“.

(პ. ი. ქრ. გრიმელსჰაუზენი)

„Was Krieg vor ein schreckliches und grausames  
Monstrum seye“. (H. J. Ch. Grimmelshausen)

## შესავალი

მე-17 საუკუნის გერმანიაში მძვინვარე ოცდაათწლიანი ომი (1618-1648) და მე-18 საუკუნის პირველი მესამედის საქართველოში არსებული შიდა პოლიტიკური ქაოსი (პოლიტიკური დაქუცმაცებულობა) და ოსმალეთის იმპერიისა და ირანის სამეფოს საგარეო აგრესია საქართველოს, კერძოდ, ქართლისა და კახეთის სამეფოების, მიმართ პოეტურ შემოქმედებათა თემად იქცა, კერძოდ, გერმანული ლიტერატურული ბაროკოს ერთ-ერთი უმთავრესი წარმომადგენლის, ანდრეას გრიფიუსის (1616-1664) ლირიკაში და ქართული ლიტერატურული ბაროკოს უმთავრესი წარმომადგენლის, დავით გურამიშვილის (1705-1792) ლირიკულ-ისტორიულ პოემაში „დავითიანი“.<sup>1</sup> ომი ორივე ავტორთან განხილულია ისეთ აპოკალიფსურ მოვლენად, რომელიც არა მხოლოდ საკუთარ სამშობლოს ანადგურებს პოლიტიკურად და ეკონომიკურად, არამედ ომი გააზრებულია ზოგადსაკაცობრიო კატასტროფად, ვინაიდან იგი საერთოდ უსპობს ყველანაირ პერსპექტივას ადამიანის ეგზისტენციას, ხოლო ისტორიის მსვლელობას უკარგავს ყოველგვარ საზრისს. აღნიშნულ ავტორთა ლირიკული გმირები სწორედ ამ უპერსპექტივობასა და უსაზრისობას რეფლექტირებენ ბაროკოსთვის დამახასიათებელი *ვანიტალურობით* (ე. ი. ამაოების ღრმა განცდით შეპყრობილნი) და ბაროკოს პოეზიისათვის დამახასიათებელი მაღალი სტილით (*genus grande*), რაც ომის თემას რეალურ აპოკალიფსზე აპოკალიფსურს ხდის.

---

<sup>1</sup> ის, რომ სრულიად ლეგიტიმურია საუბარი და მსჯელობა ქართულ ლიტერატურულ ბაროკოზე, ეს დიდი ხანია დასაბუთებულია გ. გაჩეჩილაძისა („ბაროკოს პრობლემა და ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ამოცანები“, [1972]) და ი. კენჭოშვილის („ქართული ავთენტური ბაროკო“ [1973]) ნაშრომებში (ნაჭყებია, 2009, გვ. 151), ასევე, მ. ნაჭყებიას გამოკვლევებში (ნაჭყებია, 2009; ნაჭყებია, 2022).

## I. ოცდაათწლიანი ომი (1618-1648) გერმანიასა და ევროპაში

მარტინ ლუთერის გარდაცვალების წელსვე (1546) გერმანიაში (და, ზოგადად, ევროპაში) აგორდა რელიგიური ომები კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის. ეს რელიგიური ომები ნელ-ნელა პოლიტიკურ ომებში გადაიზარდა და მე-17 საუკუნეში, 1618 წელს გაჩაღდა კიდევ ე. წ. ოცდაათწლიანი ომი, რომელიც იყო პირველი საერთოევროპული ომი და რომელიც საბოლოოდ ვესტფალიის ზავით (1648) დასრულდა. თუმცა ომები ევროპაში ამის შემდგომაც, მთელი მე-17 საუკუნის მანძილზე და მე-18 საუკუნის დასაწყისშიც მძვინვარებდა – ჩრდილოეთის ომი (1655-1660), საფრანგეთ-ჰოლანდიის ომი (1672-1678), გერმანიის რაიხის დიდი ომი ოსმალეთის წინააღმდეგ (1683-1699), ომი ესპანეთის მემკვიდრეობისათვის (1701-1714), მეორე ჩრდილოეთის ომი [1700-1721] (Niefanger, 2006, p. 27; Meid, 2009, p. 9-10). ასე რომ, ომი მთელს ბაროკოს ეპოქას მსჭვალავს, ეპოქის თანამდევი მოვლენაა.

ოცდაათწლიან ომს არც ერთი მხარისათვის – არც კათოლიკური ლიგისათვის და არც პროტესტანტული უნიისათვის – არ მოუტანია კონკრეტული შედეგი, ვინაიდან პოლიტიკურ და რელიგიურ ძალთა ის გადანაწილება და ის კონფესიური (სარწმუნოებრივი, აღმსარებლობითი) საზღვრები, რაც კათოლიკეებისა და პროტესტანტებისათვის 1555 წელს ოცდაათწლიან ომამდე განისაზღვრა აუგსბურგის ზავით, ომის შემდეგაც იგივე დარჩა: ანუ, ჩრდილოეთ გერმანია (შესაბამისად, ჩრ. და ცენტრალური ევროპა – ინგლისი, ჰოლანდია, შვეიცარია, სკანდინავიის ქვეყნები) ისევ პროტესტანტულ რწმენაზე დარჩა, ხოლო სამხრეთ გერმანია (შესაბამისად, დასავლეთ და სამხ. ევროპაც – საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია) – ისევ კათოლიკური იყო. ერთადერთი სახელმწიფო, ვინც ამ ომით იხეირა და სარგებელი ნახა, იყო საფრანგეთის სამეფო, რომელმაც ომის შემდგომ დადებული ვესტფალიის ზავის საფუძველზე გერმანიის რაიხისა და ესპანეთის სამეფოს ევროპაში ჰეგემონიას ბოლო მოუღო და თავად გამოირჩა ევროპის წამყვან ქვეყნად (Meid, 2009, p. 6, 7).

როგორც შევნიშნეთ, ე. წ. ოცდაათწლიანი ომი პირველი საერთოევროპული ომი იყო, რომელიც ძირითადად გერმანიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ამ ომში თავდაპირველად ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ერთი მხრივ, ცენტრალური და ჩრ. გერმანიის პროტესტანტული საპერცოგო-სამთავროები და, მეორე მხრივ, კათოლიკური ე. წ. გერმა-

ნელი ერის საღვთო რომის იმპერია (რაიხი), რომელსაც იმ პერიოდი-სათვის სათავეში ედგა ჰაბსბურგთა დინასტია (მათი რეზიდენცია ვენაში იყო). საღვთო რომის იმპერია, ანუ რაიხი მოცემული მომენტი-სათვის აერთიანებდა სამხრეთ და დასავლეთ გერმანიის სამეფო-სამ-თავროებს. პირადი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ინტერესების და არა რელიგიური მისწრაფებების გამო, ომში მალევე ჩაერთვნენ სხვა-დასხვა ევროპული სახელმწიფოებიც, რომლებიც კონფესიური ნიშნით შემოიკრიბნენ დაპირისპირებულ გერმანულ სამეფო-სამთავროთა გარ-შემო: კათოლიკურ გერმანიას მხარს უჭერდა საფრანგეთი, ესპანეთი, რომის პაპი, ხოლო პროტესტანტულს – შვედეთი, დანია, ჰოლანდია და ინგლისი. ცხადია, აღნიშნული სახელმწიფოები, განსაკუთრებით, საფრანგეთი და შვედეთი, ამ ომიდან მოელოდნენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სარგებელს გერმანიის ხარჯზე და შემდგომ, ომის მსვლე-ლობისას ისე მოხდა, რომ პირადი ინტერესების გამო პროტესტან-ტული შვედეთი და კათოლიკური საფრანგეთი ერთმანეთის მოკავში-რეებიც კი გახდნენ კათოლიკური გერმანული რაიხის წინააღმდეგ: კერძოდ, შვედეთისა და საფრანგეთის სამეფოების მიზანი იყო ისედაც დეცენტრალიზებული გერმანული რაიხის კიდევ უფრო დასუსტება და იმპერიის („რაიხის“) ტერიტორიების დაუფლებით საკუთარი ტე-რიტორიების გაფართოება, რასაც მათ მიაღწიეს კიდევ ვესტფალიის ზავით (Niefanger, 2006, p. 29; Meid, 2009, p. 6).

ამასთან, ომში ჩაბმული თითოეული ევროპული სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობდა, რომ ომი ლოკალიზებულიყო (შემოფარგ-ლულიყო) უშუალოდ გერმანიის ტერიტორიაზე და არ გადმოსულიყო მათ მიწებზე. ამიტომაც, ომის მთელი საშინელებანი გერმანიის სამე-ფო-სამთავროებსა და გერმანულ ხალხს დაატყდა თავზე: სხვადასხვა ქვეყნის უზარმაზარი არმიები (საფრანგეთის, ესპანეთის, შვედეთის და ა. შ.), ასევე, ორივე გერმანული მხარის – დაპირისპირებული პროტეს-ტანტული და კათოლიკური გერმანული სამეფო-სამთავროების – არ-მიები და ამ ორი მხარის მიერ სხვადასხვა ეროვნებისა და ქვეყნის და-ქირავებული ლაშქრები 30 წლის მანძილზე საბრძოლო მოქმედებებს სწორედ გერმანიის ტერიტორიაზე აწარმოებდნენ. ამას ერთვოდა მოროდითა და ყაჩაღთა ბანდების თარეში, მარცვა და ძალადობა (Niefanger, 2006, p. 28).

ძირითადად მიწათმოქმედებასა და სოფლის მეურნეობაზე ორი-ენტირებული გერმანიის ეკონომიკა ომის გამო სრულიად მოიშალა. საომარ მოქმედებებს დაერთო მასობრივი შიმშილი და ეპიდემიები

(მათ შორის, შავი ჭირის). ომის მანძილზე გერმანიის მოსახლეობა 5-7 მილიონით შემცირდა – 15-17 მილიონიდან 10-11 მილიონზე დავიდა (Sörensen [Hg.], 2002, p. 117; Meid, 2009, p. 8).

1648 წლის ვესტფალიის ზავის თანახმად, მთელი გერმანიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა 200-მდე მსხვილი და მცირე გერმანული სამეფო-სამთავრო, ასევე, დამოუკიდებელი ქალაქი-სახელმწიფოები (მაგ., მაინის ფრანკფურტი, ჰამბურგი და სხვ.), ხოლო გერმანელმა პროტესტანტმა მთავრებმა და ჰერცოგებმა საბოლოოდ განიმტკიცეს სრული დამოუკიდებლობა ვენაში მჯდომი ჰაბსბურგთა დინასტიის გერმანელი კათოლიკე კაიზერისაგან, ვისი პოლიტიკური ძალაუფლება მთელს გერმანიაზე საბოლოოდ განეიტრალებულ და გაუქმებულ იქნა (Sörensen [Hg.], 2002, p. 117).

პოლიტიკურად და ტერიტორიულად დაქუცმაცებული, ეკონომიკამოშლილი და გაღარიბებული გერმანია ოცდაათწლიანი ომის შემდეგ აღარ იყო წამყვანი პოლიტიკური მოთამაშე, მე-17 საუკუნეში ევროპის კონტინენტზე პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას ტონს უკვე საფრანგეთი და ბურბონთა სამეფო საგვარეულო აძლევდა.

## II. ანდრეას გრიფიუსის სონეტი „მამულის ცრემლები. Anno 1636“

ოცდაათწლიანი ომის საშინელებებს იმთავითვე გამოეხმაურნენ გერმანელი ბაროკოს მწერლები, მაგ., გერმანული ლიტერატურული ბაროკოს პოეტიკის ფუძემდებელი მარტინ ოპიცი (1597-1639), რომელმაც ვრცელი პოემა უძღვნა ამ ომის თემას, სახელწოდებით „ნუგეშის-მცემელი ლექსები საზარელი ომისას“ („TrostGedichte In Widerwertigkeit Deß Krieges“) (1633) (Meid, 2009, p. 171) და გერმანული ბაროკოს რომანის გამორჩეული ავტორი, ჰანს იაკობ ქრისტოფ გრიმელსჰაუზენი (1621-1676), რომლის სატირულ პიკარო-რომანში „თავგადასავლების მოყვარული სიმპლიცისიმუს გერმანელი“ („Der abentheuerliche Simplissimus Teutsch“) (1668) ვრცლადაა თემატიზებული და აღწერილი ოცდაათწლიანი ომის საშინელებანი (Niefanger, 2006, p. 214).

როგორც უკვე შევნიშნეთ, აღნიშნულ თემატიკაზეა ანდრეას გრიფიუსის სონეტიც „მამულის ცრემლები. Anno 1636“ („Thränen des Vaterlandes. Anno 1636“), რომელიც შევიდა მის პირველ სონეტების კრებულში „ქალაქ ლისას სონეტები“ („Lissaer Sonette“) (1637):

Wir sind doch nunmehr ganz, ja mehr denn ganz verheeret!

Der frechen Völker Schar, die rasende Posaun

Das vom Blut fette Schwert, die donnernde Karthaun

Hat aller Schweiß, und Fleiß, und Vorrat aufgezehret.

[ჩვენ სრულიად, სრულიად, გავნადგურდით, გავუდაბურდით! დაგემილ ხალხთა ხროვამ (*იგულისხმება გერმანიის ტერიტორიაზე მეზობლოი სხვადასხვა ქვეყნის არმიები – კ. ბ.*), შემზარავმა ბუკმა და ნაღარამ,

სისხლით გასიებულმა მახვილმა, მგრგვინავმა ზარბაზნებმა სრულიად წალეკეს ის, რაც ოფლით, შრომით, გარჯით იყო მოპოვებული].

Die Türme stehn in Glut, die Kirch' ist umgekehret.

Das Rathaus liegt im Graus, die Starken sind zerhaun,

Die Jungfern sind geschänd't, und wo wir hin nur schau'n

Ist Feuer, Pest, und Tod, der Herz und Geist durchfähret.

[კოშკები ცეცხლის ალშია გახვეული, ეკლესიები ჩამონგრეული, ჩამოქცეული.

რატჰაუსი, ქალაქის საბჭოს შენობა, ნაცარშია ჩაფლული, ძლიერნი აკაფეს,

ქალწულებს ნამუსი აჰხადეს, სადაც არ უნდა გაიხედო,

ყველგან სულისშემძვრელი ცეცხლი, შავი ჭირი და სიკვდილი მძვინვარებს].

Hier durch die Schanz und Stadt rinnt allzeit frisches Blut.

Dreimal sind schon sechs Jahr, als unser Ströme Flut

Von Leichen fast verstopft, sich langsam fort gedrungen

[აქ ციხე-სიმაგრეების სათოფურებიდან, გალავნების ნასვრეტებიდან გაუთავებლად მოთქრიალებს ახლადდაქცეული სისხლი, ქალაქის ქუჩებში გაუთავებლად მოედინება ახლადდაღვრილი სისხლი.

უკვე სამჯერ ექვსი წელია (*მინიშნება აპოკალიფსურ მხედის ნიშანზე, სამ ექვსიანზე – კ. ბ.*), რაც ჩვენი მდინარეების კალაპოტები გვამებითაა ამოვსებული] (Deutsche Gedichte..., 1976, p. 89-90).<sup>1</sup>

<sup>1</sup> სტატიაში მოყვანილი ა. გრიფიუსის სონეტის ბჭკარედული თარგმანი ჩემია. (კ. ბ.)

სონეტი, ერთი შეხედვით, თითქოს მხოლოდ ომის საშინელებებს აღწერს ღრმა პოეტური განცდით – ნგრევა, ხანძრები, ხოცვა-ჟლეტა, გაუპატიურება, ძალადობა, ძარცვა-გლეჯა, სიკვდილი, შიმშილი, ეპიდემიები, რაც (აღწერა) სონეტის ტექსტში კიდევ უფრო გაძლიერებულია ტექსტის რეციპიენტის ოპტიკურ და აკუსტიკურ აღქმებზე ეფექტური ვერბალური ზემოქმედებით – ჰიპერბოლიზებული შესიტყვებები, ექსპრესიული ბგერწერა, მაგრამ სონეტში, ამავდროულად, მინიმუმებით განზოგადებულია პოლიტიკური, რელიგიური, სოციალური, ეკონომიკური, ინსტიტუციონალური, ინფრასტრუქტურული და დემოგრაფიული კატასტროფანი, რაც *მამულს* („ფატერლანდ“/ „Vaterland“), ანუ გერმანიას დაატყდა თავს. ეს კი ნიშნავს გერმანიის სახელმწიფოებრიობისა და ცივილიზებულობის სრულ მოშლას: კერძოდ, სონეტის მიხედვით, ომმა გამოიწვია პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურის სრული ნგრევა – „სრულიად წალეკეს ის, რაც ოფლით, შრომით, გარჯით იყო მოპოვებული“; სამოქალაქო ინფრასტრუქტურისა და სახელმწიფო ინსტიტუციების მოშლა – „კომპები ცეცხლის ალშია გახვეული“, „რატკაუსი, ქალაქის საბჭოს შენობა ნაცარშია ჩაფლული“; რელიგიური ინფრასტრუქტურისა და საკრალური ინსტიტუციის, ეკლესიის დამხობა – „ეკლესიები ჩამონგრეული, ჩამოქცეული“. შემდგომ: ომი არ ცნობს სოციალურ კლასსა და სტატუსს, ომის საშინელება სოციუმის ყველა წარმომადგენელს მისწვდა, ყველა მათგანი დააზარალა – „ძლიერნი აკაფეს, ქალწულებს ნამუსი აჰხადეს“; გერმანიის მოსახლეობა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა – „აქ ქალაქის ქუჩებში გაუთავებლად მოედინება ახლადდაღვრილი სისხლი“, „ჩვენი მდინარეების კალაპოტები გვამებითაა ამოვსებული“.

აქვე მნიშვნელოვანია სონეტის სათაურში გამოტანილი *მამულის* („Vaterland“) კონცეპტი, რაც არა მხოლოდ *ნაციონალური* სემის შემცველია და *გერმანელობაზე* მიანიშნებს, არამედ *პოლიტიკურ* სემასაც შეიცავს: კერძოდ, ამ ომში *მამულის* დამხობა გრიფიუსისთვის (თუ სონეტის ლირიკული გმირისთვის) ნიშნავს ერთიანი გერმანული პოლიტიკური სხეულის, ერთიანი გერმანული სახელმწიფოს სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით დამხობას. და მართლაც, ეს იყო გრიფიუსის, თითქოსდა, ერთგვარი პოეტური წინასწარმეტყველება: თუ გადავავლებთ თვალს გერმანიის ისტორიის დენას ოცდაათწლიანი ომის დამთავრებიდან მოყოლებული, გერმანია და გერმანელი ერი 200 წელზე მეტ ხანს პოლიტიკურად დაშლილი და დაქუცმაცებული იყო, ვიდრე 1871 წელს რკინის კანცლერმა ოტო ფონ ბისმარკმა ისევ არ გააერთიანა



გერმანია ერთიან პოლიტიკურ სხეულად და ვიდრე მის ფარგლებში გერმანელი ერი არ ჩამოყალიბდა ე. წ. „შტაატსნაციონ“-ად, ანუ თანამედროვე *სახელმწიფო* *ერად*, კონსოლიდირებულ *პოლიტიკურ* *ერად*.

სონეტის ბოლო, მეოთხე სტროფში (მეორე ტერცეტში) კი განვითარებულია *ტაბუირების* მოტივი, რითაც ერთგვარად ნაწინასწარმეტყველება მომავალი აპოკალიფსური მოვლენები:

Doch schweig ich noch von dem, was ärger als der Tod,  
Was grimmer denn die Pest, und Glut und Hungersnot,  
Daß auch der Seelen Schatz so vielen abgezwungen  
[მაგრამ მასზედ კი ვდუმვარ (*ტაბუირება* – კ. ბ.), რაც  
სიკვდილზე უფრო საშინელია,  
რაც შავ ჭირზე უფრო საზარელია, რაც ცეცხლსა და შიმშილზე  
უარესია,  
მასზედ ვდუმვარ, რაც მრავალთა სულთა კიდევ უფრო  
შეაძრწუნებს და გააოგნებს] (Deutsche Gedichte..., 1976, p. 90).

ამ თვითდადუმებითა და ტაბუირებით საინტერესოა, კიდევ რომელ უფრო დიდ კატასტროფაზე უნდა მიანიშნებდეს ავტორი, ვიდრე ეს ომია და ამ ომით გამოწვეული საშინელებანი?! როგორც ჩანს, ეს არის მინიშნება კიდევ უფრო დიდ, სამყაროულ კატასტროფაზე, საკაცობრიო კატასტროფაზე, კერძოდ, *აპოკალიფსისზე*. ეს აპოკალიფსისი კი მინიშნებულია ფრაზით – „უკვე სამჯერ ექვსი წელია“ („Dreimal sind schon sechs Jahr“). ფრაზა „სამჯერ ექვსს“ აქვს როგორც *ისტორიული*, ისე *რელიგიურ-ესქატოლოგიური* შინაარსი: 1. *სამჯერ ექვსი*, ანუ თვრამეტი წელი გულისხმობს, რომ სონეტის დაწერის მომენტისთვის, 1636 წლისთვის უკვე მართლაც *სამჯერ ექვსი*, ე. ი. თვრამეტი წელია გასული ომის დაწყებიდან და 18 წელია რაც *მამულში*, ანუ გერმანიაში მძვინვრებს ეს ომი, რომელიც 1618 წელს დაიწყო; 2. *სამჯერ ექვსი*, ვითარცა *სამი ექვსიანი*, რაც მიანიშნებს იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ნახსენებ *სამ ექვსიანზე* (Niefanger, 2006, p. 129), რაც არის აპოკალიფსური *მხეცის*, ანუ *სატანის*, *ანტიქრისტეს* ნიშანი, რიცხვი „ექვსასსამოცდაექვსი“. სწორედ ამ ნიშნის მატარებელი ანტიქრისტეა ის, ვინც იოანეს გამოცხადების მიხედვით, იესო ქრისტეს მეორედ მოსვლამდე გაბატონდება დედამიწაზე.

ამგვარად, ამ „აპოკალიფსური“ მინიშნებით გრიფიუსი, ვითარაც ახალი ჟამის პოეტი-წინასწარმეტყველი, სონეტში არა მხოლოდ გო-

დებს ისტორიული *მამულის*, გერმანიის პოლიტიკურ და ისტორიულ კატასტროფაზე, არამედ ერთგვარად წინასწარმეტყველებს, პროგნოზირებს ზოგადსაკაცობრიო გარდაუვალ აპოკალიფსურ კატასტროფასა და ისტორიის უპერსპექტივობას. ამით კი ინტენციურებულია, ზოგადად, ბაროკოს ლირიკისათვის დამახასიათებელი ე. წ. *ვანიტალურობა*, ანუ ამოებისა და წარმავლობის შეუქცევადი და გაუნელელებელი განცდა, რაც სონეტის ავტორსა თუ სონეტის ლირიკულ გმირში საბოლოოდ გაამძაფრა ამ *ოცდაათწლიანმა ომმა*. ეს *ვანიტალურობა* კი ავტორისა თუ ლირიკული გმირისთვის საბოლოოდ გადაიზრდება გარდაუვალი აპოკალიფსისის მოლოდინში, რაც ერთხელ და სამუდამოდ აუქმებს ღვთისადმი სასოებას, ქრისტიანულად გაგებული სასუფევლის რწმენას, *ხსნის* პერსპექტივას და აძლიერებს *რელიგიურ სკეფსისს*, რაც (რელიგიური სკეფსისი), აპოკალიფსისის მსგავსად, უფრო დიდი საშინელებაც კია, ვიდრე *მამულში*, გერმანიაში მძვინვარე ომი (Niefanger, 2006, p. 129). სონეტის ფინალში სწორედ ამ ომით გამოწვეული პრივატული *რელიგიური სკეფსისის* გამხელაც არ სურს ლირიკულ გმირს, რათა მოყვასი (შესაბამისად, მკითხველი, მსმენელი) არ დაბრკოლდეს რწმენაში – „მასზედ ვდუმვარ, რაც მრავალთა სულთა კიდევ უფრო შეაძრწუნებს და გააოგნებს“.

### III. „ქართლის ჭირი“ და სუბიექტის ეგზისტენციის პრობლემატიკა „დავითიანში“

ანდრეას გრიფიუსისაგან განსხვავებით, დავით გურამიშვილთან ომის ფენომენი უფრო მეტად *სუბიექტურადაა* გააზრებული, ვიდრე *ობიექტურად*: მიუხედავად იმისა რომ გურამიშვილი „დავითიანში“ >>ობიექტურად<< აღწერს მე-18 საუკუნის პირველი მესამედის საქართველოს ისტორიულ რეალიებს, სწორედ ამ ობიექტურობის ფონზე წამოიწევს წინ ლირიკული გმირის სუბიექტური ეგზისტენციური პრობლემატიკა. ეს გარემოება თვით ჟანრობრივ არჩევანზეც აისახა: თუკი გრიფიუსი მიზანმიმართულად ირჩევს *სონეტის* ლირიკულ ფორმას, სადაც მეტი გასაქანი ეძლევა ობიექტურ, დისტანცირებულ რეფლექსიას, განზოგადებულ, შემაჯამებელ ეთიკურ თუ რელიგიურ დასკვნასა და პოეტურ პროფეტულობას, მაშინ გურამიშვილი ლიტერატურულ მედიუმად ირჩევს *ლირიკულ პოემას* და მასში, შეიძლება ითქვას რომ, უკიდურესი სუბიექტურობით ასახავს, როგორ ზემოქმედებს მასზე (თუ თავის ლირიკულ გმირზე), როგორც კონკრეტულ

სუბიექტზე, საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური ბედუკუდმართობა: „*მო, ყური მიგდე, მოგიტხრობ ტყვედ ჩემსა წამოყვანასა. / ქვეყნის წახდენის მიზეზით ვსცხოვრობდი სხვის ქვეყანასა, / სადაც უხმობენ სახელად, ქსნის ხევზე, ლამისყანასა*“ (გურამიშვილი, 2017, გვ. 72).

იმჟამინდელი საქართველოს, კერძოდ, ქართლისა და კახეთის სამეფოთა პოლიტიკური დილემა კი ის იყო, რომ ამ ქართულ სამეფოებს, ერთი მხრივ, გარედან მუდმივად ემუქრებოდა სამხედრო-პოლიტიკური აგრესია, კერძოდ, ოსმალეთისა და ირანის დამპყრობლური პოლიტიკა, რასაც (ამ დილემას) ზედ დაერთო პეტრე პირველის ახლადგამომცხვარი რუსეთის იმპერიის მიერ შემუშავებული სამხრეთის მიმართულების საიდუმლო ექსპანსიონისტური გეგმა, რაშიც პეტრე პირველმა მოტყუებით ჩაითრია რუსეთის დახმარებაზე მეოცნებე და მოიმედე ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსე, რომელსაც გულუბრყვილოდ ეგონა, რომ რუსეთის დახმარებით თავს დააღწევდა ირან-ოსმალეთის ბატონობას. რუსეთის ეს საიდუმლო გეგმა ირანის დაკავებასა და დაპყრობას, შემდგომ კი აქედან ინდოეთზე გასვლასა და აზრეშუმის გზის კონტროლს გულისხმობდა. სწორედ ორპირი და მუხანათი პეტრე პირველისაგან ამ გეგმის შეუსრულებლობის მსხვერპლი შეიქნა ვახტანგ მეექვსე და მასთან ერთად ქართლის სამეფო: კერძოდ, პეტრე პირველმა ვახტანგ მეექვსე შეაგულიანა, ირანის წინააღმდეგ ლაშქარი გამოეყვანა და შემდგომ თავისი ჯარის მიშველებასაც დაჰპირდა. ქართლის მეფე წამოეგო რუსის იმპერატორის პროვოკაციას, მეფე ვახტანგმა 40 ათასიანი ლაშქარი გამოიყვანა და ამაოდ ელოდა პეტრე პირველს განჯაში რამდენიმე დღე. ამასობაში კი თავად იმპერატორი ასტრახანიდან უკან პეტერბურგს გაბრუნდა, უცებ გადაწყვიტა რა, რომ ირანზე გალაშქრება ამჯერად არ ივარგებდა (ჯავახიშვილი, 1998, გვ. 401-404).<sup>1</sup> მეორე მხრივ კი, ქართლისა და კახეთის სამეფოები

<sup>1</sup> შდრ.: „*ტიროდენ, ამას იტყოდენ: ახლა არს ჩვენი დავსება! / ვერ მოგვიხდების კარგათა ამდენი წყვეტა, ტმასება. / მესამე (ანუ, რუსეთი – ვ. ბ.) კიდევ მოიბა, ორი საბელი (ანუ, ოსმალეთი და ირანი – ვ. ბ.) თავს ება. / სამი ვეშაპი ერთს ლომსა აწ ვითარ მოეთავსება?!*“ (გურამიშვილი, 2017, გვ. 42). ასევე შდრ.: „*განა სპარსეთს კი შეეძლო საქართველოსთვის მისი მოქმედება ეპატიებინა? სპარსეთის შაჰს ვახტანგ მეფეზე მოახსენეს: ის იმდენად „არის მტერი შენი“, რომ „ეყმო ხელმწიფესა რუსეთისასა“ და „ამოსწყვიტა რჯულისა შენისა მოსავნიო“.* საქართველო გადიდებისა და გაძლიერების მაგიერ მტრის სათარეშოდ გახდა: ქართლი აოხრდა და ოსმალებს ჩაუვარდა ხელში, ლეკებმა ხალხს ცარცვა-გლეჯა დაუწყეს. ვახტანგ მეფეს, პეტრე I-საგან ასე მოტყუებულსა და ყოვლად უმწეოდ მიტოვებულს, საქართველოდან გახიზვნის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. ქართლში ოსმალები გაბატონდნენ“ (ჯავახიშვილი, 1998, გვ. 404).

მუდმივად ჩათრეულნი იყვნენ შიდაპოლიტიკურ კონფლიქტებში, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა ამ სამეფოთა ერთმანეთისაგან დისტანცირებას, გაუცხოებას და მათს შინაგან პოლიტიკურ დაქუცმაცებულობას. ამ ორმა ფაქტორმა კი იქამდე მიიყვანა ქვეყანა, რომ ბოლოს გაუქმდა ქართლისა და კახეთის სამეფოთა პოლიტიკურობა, კერძოდ, გაუქმდა მათი დამოუკიდებელი (თუ ნახევრადდამოუკიდებელი) სახელმწიფოებრიობა, ქართლსა და კახეთში დამყარდა უმეფობა და ქართლი და კახეთი გადაიქცნენ ოსმალეთისა და ირანის შემადგენელ პროვინციებად:

თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ლლიღვი, დიდო, ქისტი, სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა თვითო ქიშტი! მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი; თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვერდრეს ხიშტი. [...]

რაც მოგახსენე, მოგგვარა ჩვენ ერთმანერთის ბრძოლამა!  
ქართლი ოსმალომ დაიპყრა, კახეთი ლეკთა მოლამა;  
მით ჩვენმან სისხლმან ნაღვარმან ხევნები სულ ამოლამა.  
სუნით მოიცვა მთა-ბარი ჩვენის მკვდრის მძორთა ყროლამა!  
(გურამიშვილი, 2017, გვ. 30, 72).<sup>1</sup>

როგორც ზემოთ შევნიშნე, „დავითიანში“ ეს ისტორიული გარემოებანი >>ობიექტურადაა<< გადმოცემული, მაგრამ გურამიშვილისთვის (თუ მისი ლირიკული გმირისთვის) მნიშვნელოვანია, ამ რეალობის ფონზე გადმოსცეს არა საკუთარი ქვეყნის (თუ ქვეყნების – ქართლი, კახეთი) პოლიტიკური კატასტროფით გამოწვეული პატრი-

---

<sup>1</sup> შდრ.: „საქართველო, განსაკუთრებით აღმოსავლეთი, მტრების სათარეშოდ იქცა. ჯერ ოსმალეთი, შემდეგ ნადირშაჰის დროს სპარსელები სძარცვავდნენ და აოხრებდნენ ქვეყანას. აღმ. საქართველოს სახელმწიფოებრივი მანქანა მთლად მოშალეს, ყოველგვარი ადგილობრივი დაწესებულება მოსპეს და ჯერ ოსმალთა ფაშები, შემდეგ სპარსეთის ვეჯილები განაგებდნენ საქმეს“ (ჯავახიშვილი, 1998, გვ. 404-405); ასევე შდრ.: „გაძლიერდა „ტყის სყიდვა“, შური და სხვა ბოროტებანიც. დაცარიელებულ ქვეყანაში, როგორც ჩანს, გარეული ნადირიც მომრავლებულა და ღონემიხდილი შეთხელებული მოსახლეობისათვის შეუტევია. ყოველივე ამას დაერთო სასტიკი ეპიდემიები. რუსეთს გადახვეწილ ქართლის მეფეს (ანუ, ვახტანგ VI – კ. ბ.) ღონე არ შესწევდა რეალური დახმარება აღმოეჩინა თავისი ქვეყნისათვის. კახეთის მეფე ქართლს გასაგლევად უმიზნებდა. ერთსულოვნება არც ქართველ თავადებს შორის იყო: ყოველი თავადი საკუთარი სათავადოს ინტერესებიდან გამოდიოდა და მათი პოლიტიკური მსოფლმხედველობა ვიწრო თავადური ინტერესებით იფარგლებოდა“ (ნარკვევები..., 1976, გვ. 440).

ოტული სევდა (თუმცა, ეს სევდაც ძალაშია), არამედ – საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური კატასტროფით გამოწვეული სუბიექტური ეგზისტენციური კატასტროფა: „*მო, ყური მიგდე, მოგიტხოვრებ ტყვედ ჩემსა წამოყვანასა. / ქვეყნის წახდენის მიზეზით ვსცხოვრობდი სხვის ქვეყანასა, / სადაც უხმობენ სახელად, ქსნის ხევზე, ლამისყანასა*“ (გურამიშვილი, 2017, გვ. 72).

პოემაში შემდგომ ეს დისკურსი – საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური კატასტროფით გამოწვეული სუბიექტური ეგზისტენციური კატასტროფა – კიდევ უფრო გაღრმავებულია თავში „დავით გურამიშვილისაგან საწუთოს სოფლის სამდურავი“, სადაც სუბიექტური ეგზისტენციის პრობლემატიკა კონკრეტული ისტორიული სიბრტყიდან უკვე ზოგადონტოლოგიურ სიბრტყეზეა გადმოტანილი:

ნუ მიენდობი, საწუთრო მტყუვანი არს და უპირო!  
არ დაიჭირვის ხელშია, რაგინდ რომ ბჭალი უჭირო;  
დღეს რომე ლხინი მოგაგოს, ხვალ ვერ მოურჩე უჭირო,  
ამად სჯობს, ხორცი უვარჰყო, სულსა ულოცო, უწირო. [...]

ამად ვემდური საწუთროს, თორემ სხვა რა მაქვს სადაო?  
სად მომიყვანა სად მყოფი, კიდევ მივეყვარ სადაო!  
მამა, დედა, ძმა თვალითა ველარა მხედავს, ა დაო,  
ძეთა და ასულთაგანაც გამხადა უღირსადაო. [...]

ორგემაგე არს საწუთრო: ხან ნოტიობს, ხან კი გვაღავს;  
დღეს რომ კარგი წინ გიმძღვაროს, უკან მოგადევნებს ხვალ ავს.  
ნუ ენდობი, მოგატყუებს, ისარს ისვრის, მშვილდს კი მაღავს.  
მას დავნატრი, ვინცა სწორედ ხვლად საწუთროს გზას გაჰკვავავს.

მიდი-მოდის ეს სოფელი, ქარტეხილთა ზღვისებრ ღელავს!  
უკან დასდევს დრო და ჟამი, მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს.  
ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს, რასა სცელავს?  
ამად ვსწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ელავს!

(გურამიშვილი, 2017, გვ. 122, 124)

ამგვარად, *საწუთრო*, ე. ი. ამ ქვეყნად ადამიანის ეგზისტენცია, აქმყოფობა, „დაზაინ“-ი დახასიათებულია როგორც მოუხელთებელი, განუქვრეტელი, არაპროგნოზირებადი, სტიქიური ფენომენი, რომლის წიაღში არსებობაც ბოლოს *სიკვდილით*, ანუ გარდაუვალი გაქრობით

მთავრდება – „ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს, რასა სცელავს?“. ამ ვითარებაში კი სულზე ზრუნვა და მარადიული სასუფევლის დამკვიდრებაზე ფიქრი („ამად სჯობს, ხორცი უვარჰყო, სულსა ულოცო, უწირო“) ავტომატურ, მექანიკურ და, ამგვარად, გაუაზრებელ, უმწეო და ამო ქცევად მოსჩანს. შესაბამისად, რელიგიური მოტივი, ქრისტიანული სწავლება მარადიულ საღვთო სასუფეველზე, მისი *რწმენა* მხოლოდ ფიქციაა, მხოლოდ და მხოლოდ გამოგონილი მეტაფიზიკური ნუგეშია, ვინაიდან რელიგიურ რწმენასა და უფლის სასობებაზე, საბოლოოდ, ამქვეყნიური ეგზისტენციით გამოწვეული და უკიდურესად გამძაფრებული ამაობისა და სასოწარკვეთის განცდა მძლავრობს – „ამად ვსწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ელავს!“. ამიტომ, პოემის ამ თავში („დავით გურამისშვილისაგან საწუთოს სოფლის სამდურავი“) კულმინირებულია ქართული ბაროკოს *ვანიტალურობა* (ანტითეზა) და შეიძლება ითქვას რომ, ეს თავი ქმნის პოემის ანტითეტიკის მეორე, ანტითეზურ შემადგენელს, რომელიც უპირისპირდება ლირიკული გმირისაგან პოემის წინა თავებში გამოვლენილ რწმენითა და სასობებით აღვსილ ქრისტიანულ სტოიციზმს (თეზა) (იხ. თავები: „ოდეს დავით ავის დღისაგან შეწუხებული სვინდისის მხილებით ელვისაგან გამოქობილი კლდე იპოვნა და იმას შეეფარა, იქიდან გამოსულმან ილოცა“, „უცხოთ ნახვის შიშით მუხლთმოჭრის დროს დავითის ლოცვა და გალობა“) (გურამიშვილი, 2017, გვ. 88, 92-94).<sup>1</sup>

## დასკვნა

ამგვარად, თუკი გრიფიუსის სონეტში ოცდაათწლიანი ომის ფონზე ასახულია საკუთარი ქვეყნის („მამულის“) საბოლოო დაქცევა, ნაწინასწარმეტყველებია >>ობიექტური<< მომავალი ზოგადსაკაცობრიო კატასტროფა, გადმოცემულია აპოკალიფსური ვიზიონები და ტრაგიკულად განცდილია ამ აპოკალიფსისის მოლოდინი, მაშინ გურამიშვი-

<sup>1</sup> შდრ.: „*ბაროკოს ეპოქისათვის დამახასიათებელია პიროვნების გაორება, წინააღმდეგობრიობა, კონტრასტი, პოლარულობა, ანტითეზა. ეს თვისებები თავისთავად დინამიურ ელემენტებს შეიცავს, რაც ძლიერი შინაგანი დამაბულოებით არის აღბეჭდილი. ბაროკოს აზროვნებისა და აღქმის ძირითად საშუალებად იქცა ანტითეზა (აქ სწორი იქნებოდა, თქმულიყო „ანტითეტიკა“ ან „ანტითეზურობა“ – ვ. ბ.), რადგან ადამიანს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი განხეთქილების ღრმა გრძნობა დაეუფლა. [...] ანტითეზურობა, როგორც გურამიშვილის აზროვნების სტილი, მისი შემოქმედებითი მეთოდის ერთ-ერთი მძლავრი მახასიათებელი და მისი პოეტური ხელოვნების არსებითი ნიშანია“ (ნაჭყებია, 2009, გვ. 152, 153).*

ლის ლირიკულ პოემაში გვაქვს სუბიექტურ ეგზისტენციურ ხვედრზე ფოკუსირება და მასზე რეფლექსიები, რაც გამოწვეულია აპრიორული ობიექტური *ეგზისტენციალიზმით* – პოლიტიკური დესტაბილიზაციითა (ისტორიული ფაქტორი) და „ორგემაგე“ „საწუთოს სოფლის“, „საწუთროს“ მუხანათობით, ანუ ეგზისტენსის სტიქიურობითა და განუჭვრეტელობით (ონტოლოგიური ფაქტორი) – „არ დაიჭირვის ხელშია, რაგინდ რომ ბჭალი უჭირო“. აქ კი გურამიშვილის პოემის ლირიკული გმირის სუბიექტივიზმი, ანუ მისი *სუბიექტური* რეფლექსიები საკუთარ ეგზისტენციაზე, მოულოდნელად გადაიქცევა *ობიექტურ* და განზოგადებულ ეგზისტენციურ მოცემულობად, კერძოდ, სარტრის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „დავითიანის“ ლირიკული გმირის ეგზისტენცია ჩაეწერება *ჯერარსისა* (ფრგ. en-soi, გერმ. An-sich-sein, Existenz) და *არსის* (ფრგ. pour-soi, გერმ. Für-sich-sein, Essenz) ობიექტურად მოცემულ დიალექტიკაში (Galle, 2009, p. 20; Seibert, 1997, p. 128), ე. ი. ჩაეწერება *არსებულისა* (აქ: ყოფიერებისა) და *არსების* (აქ: ადამიანის) ობიექტურად მოცემულ დიალექტიკაში, როდესაც ჯერ (!) *არსებული* და მისი ონტოლოგიური მონაცემებია და შემდეგ (!) ამ მონაცემებში ჩაწერილი ადამიანის პირადი *ეგზისტენცია*, *არსებობა*. ამიტომ a priori გვაქვს ეგზისტენციური ვითარება, როდესაც უკვე *არსებული* („ჯერარსი“) და მისი ონტოლოგიური მონაცემები (მაგ., დაბადება, სიკვდილი, ისტორიული ყოფა, დროითობა, დროებითობა, წარმავლობა, არარა და ა. შ.) ყოველთვის წინ უსწრებენ და წინ ხვდებიან ადამიანსა (შესაბამისად, „დავითიანის“ ლირიკულ გმირსა) („არსსა“) და მის კერძო ეგზისტენციას, ხოლო ეს ონტოლოგიური მონაცემები სწორედ ისეთად ევლინებიან ადამიანს (შესაბამისად, „დავითიანის“ ლირიკულ გმირს), როგორადაც ისინი უკვე წინასწარაა გაწერილი, როგორადაც ისინი უკვე წინასწარ არსებობენ.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- გურამიშვილი, დ. (2017). დავითიანი, თბილისი: „ქარჩხაძის გამომცემლობა“.
- ნარკვევები... (1973). საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ნაჭყებია, მ. (2009). ქართული ბაროკოს საკითხები, თბილისი: „მერანი“.
- ნაჭყებია, მ. (2022). მხატვრული ტექსტი ლიტერატურულ მიმდინარეობათა კონტექსტში, თბილისი: „საჩინო“.
- ჯავახიშვილი, ივ. (1998). თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XII, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- Deutsche Gedichte... (1976). Die schönsten deutschen Gedichte, hrsg. von A. Simon, München: „Verlag Lothar Borowsky“.
- Galle, R. (2009). Der Existentialismus, München: „Verlag Wilhelm Fink“.
- Meid, V. (2009). Die deutsche Literatur im Zeitalter des Barock, München: „Verlag C. H. Beck“.
- Niefanger, D. (2006). Barock, 2. Aufl., Stuttgart/Weimar: „Verlag J. B. Metzler“.
- Seibert, Th. (1997). Existenzphilosophie, Stuttgart/Weimar: „Verlag J. B. Metzler“.
- Sörensen, B. A. [Hg.] (2002). Geschichte der deutschen Literatur, Bd. I, München: „Verlag C. H. Beck“.

## References:

- Deutsche Gedichte... (1976). Die schönsten deutschen Gedichte, hrsg. von A. Simon, München: „Verlag Lothar Borowsky“.
- Galle, R. (2009). Der Existentialismus, München: „Verlag Wilhelm Fink“.
- Meid, V. (2009). Die deutsche Literatur im Zeitalter des Barock, München: „Verlag C. H. Beck“.
- Guramishvili, D. (2017). Davitiani. [Davitiani]. Tbilisi: „karchkhadzis gamomtsemloba“.
- Javakhishvili, Iv. (1998). Tkhzulebani tormet' t'omad, t'. XII. [Essays in twelve volumes, Vol. XII]. Tbilisi: „tbilisis universit'et'is gamomtsemloba“.
- Nark'vevebi... (1973). Sakartvelos ist'oriis nark'vevebi, t'. IV. [Essays on the history of Georgia, vol. IV]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.
- Nach'q'ebia, M. (2009). Kartuli barok'os sak'itkhebi. [Fictional text in the context of literary trends]. Issues of Georgian Baroque]. Tbilisi: „merani“.
- Nach'q'ebia, M. (2022). Mkhat'vruli t'ekst'i lit'erat'urul mimdinareobata k'on-t'ekst'shi. [Artistic text in the context of literary trends]. Tbilisi: „sachino“.
- Niefanger, D. (2006). Barock, 2. Aufl., Stuttgart/Weimar: „Verlag J. B. Metzler“.
- Seibert, Th. (1997). Existenzphilosophie, Stuttgart/Weimar: „Verlag J. B. Metzler“.
- Sörensen, B. A. [Hg.] (2002). Geschichte der deutschen Literatur, Bd. I, München: „Verlag C. H. Beck“.